ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 ნოემბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 16 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 21

დ. ხარაგაული 16 ნოემბერი 2023 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე

ირმა ვეფხვაძე ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის" თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე,

სათათბირო ხმის უფლებით:

ირმა ვაქერ - სებისკვერაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე.

ნონა ზურაბიანი ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე.

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ,
ი. ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე
მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიურო 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ“ რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში ის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რაც პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში.
ვ. გელაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციას დავეყრდენით და მაქსიმალურად შევეცადეთ გათვალისწინებას. თუმცა იმედი გვაქვს, რომ ამ მიმართულებით თანხები გაგვეზრდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2023 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი
მომხრე 10

წინააღმდეგი

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს კომისიებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2023 წლის 17 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 ნოემბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე